საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტრო
საჯარო სამართლის
იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების
სააგენტო

MINISTRY OF LABOUR, HEALTH
AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

Legal Entity of Public Law

SOCIAL SERVICE
AGENCY

KA030436631949115

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

№ 04/38573 **01 / ივნისი / 2015 წ.**

GRASS
REFORMANDA
აიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 139
თარიღი: 4 06 2015 წ.

საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS)
ფაქტ–მეტრის მთავარ რედაქტორს, ბატონ პაატა
გაფრინდაშვილს

მის: თბილისი, მიცეევიჩის ქუჩა N27

ბატონო პაატა,

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან გადმოგზავნილი თქვენი წერილის პასუხად, სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებში, გიგზავნით მოთხოვნილ ინფორმაციას:

სახელმწიფო გასაცემლების მიმღებთა ერთიანი სააღრიცხვო ბაზის მიხედვით, 2015 წლის 1 მაისის მდგომარეობით, გასაცემლის მიმღებ ომის ვეტერანთა რაოდენობა სულ შეადგენს – 19 211 ბენეფიციარს. მათ შორის:

ომის მონაწილე – 17377 ბენეფიციარი;

ომის ინვალიდი –1834 ბენეფიციარი.

ვეტერანთა აღნიშნული რაოდენობიდან 4711 ბენეფიციარი არის სახელმწიფო პენსიის მიმღები. 11903 ბენეფიციარი სოციალური პაკეტის მიმღები და 2597 ბენეფიციარი სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები.

ომის ვეტერანთა გასაცემლების ოდენობასთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციისა და სოციალური პაკეტის ოდენობა განისაზღვრება და რეგულირდება საქართველოს კანონებით („სახელმწიფო პენსიის შესახებ", „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ", „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონები). გარდა აღნიშნულისა, „სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის N4 დადგენილება, სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შედეგად, ადგენს ომის ვეტერანებისათვის საყოფაცხოვრებო-კომუნალური საჭიროებების უზრუნველსაყოფად, საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ოდენობას და მიმღებ პირ... წრეს. კერძოდ, ომის მონაწილეებისათვის ყოველთვიურად 22 ლარის (მეორე მსოფლიო ... მონაწილეებისათვის 44 ლარის) და ომის ინვალიდებისათვის ყოველთვიურად 44 ლარის ოდენობით.

ფაშიზმზე გამარჯვების წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიებების ფარგლებში, ერთჯერადი ფულადი დახმარებების დაწესების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილებებისა და განკარგულებების

(2012 წლის 26 აპრილის N787 და 2013 წლის 1 მარტის N381 განკარგულებები, 2014 წლის 14 აპრილის N289 დადგენილება და 2015 წლის 28 აპრილის N895 განკარგულება) საფუძველზე, სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებზე და ომში დაღუპულთა მარჩენალდაკარგულ პირებზე (გარდა ქ. თბილისში რეგისტრირებული მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებისა და ომში დაღუპულთა მარჩენალდაკარგული პირებისა), დახმარების სახით ერთჯერადად გაცემული თანხები შეადგენს:

2012 წელს – 2616 ბენეფიციარზე – 523 000 ლარს;

2013 წელს – 2595 ბენეფიციარზე – 452 200 ლარს;

2014 წელს – 1998 ბენეფიციარზე – 695 000 ლარს;

2015 წელს – 1524 ბენეფიციარზე – 1 311 000 ლარს.

რაც შეეხება წერილის პირველი პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას (საქართველოში ვეტერანთა რაოდენობა კატეგორიების მიხედვით), გაცნობებთ, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს აღრიცხული ყავს მხოლოდ სახელმწიფო გასაცემლების მიმღები ვეტერანები. შესაბამისად, საქართველოს მასშტაბით, ვეტერანთა რაოდენობისა და კატეგორიების თაობაზე უნდა მიმართოთ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს.

პატივისცემით,

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე

ზაზა სოფრომაძე